

შპს „ჯორჯიან სერვის ნეთვორკი“

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება

2020 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისთვის

თბილისი

2021

შპს „ჯორჯიან სერვის ნეთვორკი“
სარჩევი

კონსოლიდირებული ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება	3
კონსოლიდირებული მოგება-ზარალისა და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგება	4
კონსოლიდირებული კაპიტალში ცვლილებების ანგარიშგება	5
კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები	6
1. ძირითადი ინფორმაცია	6
2. საქართველოს ბიზნეს-გარემო	6
3. მომხადების საფუძველი	7
4. ძირითადი სააღრიცხვო პოლიტიკა	7
5. წინა წლების კორექტირებები	14
6. ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები	15
7. დებიტორული დავალიანება მიწოდებიდან	15
8. მარაგები	15
9. გადახდილი ავანსები	16
10. საგადასახადო ვალდებულებები და წინასწარ გადახდილი გადასახადები	16
11. ძირითადი საშუალებები და არამატერიალური აქტივები	17
12. გუდვილი	17
13. ვალდებულებები, წარმოქმნილი მიწოდებიდან და მომსახურებიდან	18
14. მიღებული ავანსები	18
15. შემოსავალი რეალიზაციიდან	18
16. რეალიზებული საქონლის/მომსახურების თვითღირებულება	19
17. მიწოდების ხარჯები	19
18. საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები	20
19. სხვა საოპერაციო ხარჯები	20
20. მოგება/ზარალი საკურსო სხვაობებიდან	21
21. სხვა არასაოპერაციო მოგება/ზარალი	22
22. გარიგებები დაკავშირებულ მხარეებთან	22
23. სხვა გაუთვალისწინებელი გარემოებები	23
24. საანგარიშგებო პერიოდის შემდეგი მოვლენები	23
25. ფინანსური ანგარიშგების დამტკიცება	23

შპს „ჯორჯიან სერვის ნეთვორკი“

ფინანსური ანგარიშგება 2020 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისთვის

კონსოლიდირებული ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება

2020 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისთვის

(1 ლარი)

	12/31/2020	12/31/2019	01/01/2019 გადაანგარიშებული (შენიშვნა 5)	შენიშვნა
მოკლევადიანი აქტივები:				
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები	439,783	679,148	659,506	6
დებიტორული დავალიანება მიწოდებიდან	214,724	258,310	303,875	7
მარაგები	4,287,719	4,685,992	3,681,678	8
გადახდილი ავანსები	269,742	166,995	486,967	9
წინასწარ გადახდილი გადასახადები	467,318	456,238	451,536	10
სხვა მოკლევადიანი აქტივები	31,484	23,478	2,948	
მოკლევადიანი აქტივები სულ:	5,710,769	6,270,160	5,586,510	
გრძელვადიანი აქტივები:				
ძირითადი საშუალებები და არამატერიალური აქტივები	628,411	679,478	578,250	11
გრძელვადიანი ინვესტიციები	-	-	-	
გუდვილი	312,192	364,224	416,256	12
გრძელვადიანი აქტივები სულ:	940,603	1,043,702	994,506	
აქტივები სულ:	6,651,371	7,313,862	6,581,016	
მოკლევადიანი ვალდებულებები:				
ვალდებულებები მიწოდებიდან და მომსახურებიდან	2,302,834	1,416,401	302,073	13
საგადასახადო ვალდებულებები	214,477	448,735	433,905	10
მიღებული ავანსები	4,488,159	5,329,818	4,943,956	14
სხვა მოკლევადიანი ვალდებულებები	31,140	18,347	12,182	
მოკლევადიანი ვალდებულებები სულ:	7,036,609	7,213,301	5,692,116	
კაპიტალი				
გაუნაწილებელი მოგება	(385,238)	100,562	888,900	
კაპიტალი სულ:	(385,238)	100,562	888,900	
სულ ვალდებულებები და კაპიტალი:	6,651,372	7,313,862	6,581,016	

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება დამტკიცებულია 2021 წლის 1 ოქტომბერს შემდეგ პირთა მიერ:

დირექტორი ----- კონსტანტინე ხაჯალია

დირექტორი ----- მიროსლავ ლაზაროვ გინოვ

თანდართული შენიშვნები მე-6 დან 21-ე გვერდის ჩათვლით წარმოადგენს წინამდებარე ფინანსური ანგარიშგების განუყოფელ ნაწილს.

შპს „ჯორჯიან სერვის ნეთვორკი“

ფინანსური ანგარიშგება 2020 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისთვის

კონსოლიდირებული მოგება-ზარალისა და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგება

2020 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისთვის

(1 ლარი)

	2020 წელი	2019 წელი გადაანგარიშ ებული (შენიშვნა 5)	შენიშვნა
შემოსავალი რეალიზაციიდან	13,379,983	13,848,911	15
რეალიზებული საქონლის/მომსახურების თვითღირებულება	(5,332,968)	(6,920,271)	16
მოგება ძირითადი საქმიანობიდან	8,047,015	6,928,640	
მიწოდების ხარჯები	(177,226)	(226,257)	17
საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები	(3,561,751)	(3,120,069)	18
სხვა საოპერაციო ხარჯები	(697,859)	(684,974)	19
ზარალი საოპერაციო საქმიანობიდან	3,610,179	2,897,339	
საპროცენტო შემოსავლები	13,811	7,308	
მოგება/(ზარალი) საკუროს სხვაობებიდან	(173,518)	(65,400)	20
სხვა არასაოპერაციო მოგება/(ზარალი)	(3,144)	(71,018)	21
მოგება/(ზარალი) დაბეგვრამდე	3,447,328	2,768,229	
მოგების გადასახადი	(589,969)	(361,830)	
წლის წმინდა მოგება	2,857,359	2,406,399	
წლის სრული შემოსავალი	2,857,359	2,406,399	

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება დამტკიცებულია 2021 წლის 1 ოქტომბერს შემდეგ პირთა მიერ:

დირექტორი ----- კონსტანტინე ხაჯალია

დირექტორი ----- მიროსლავ ლაზაროვ გინოვ

თანდართული შენიშვნები მე-6 დან 21-ე გვერდის ჩათვლით წარმოადგენს წინამდებარე ფინანსური ანგარიშგების განუყოფელ ნაწილს.

შპს „ჯორჯიან სერვის ნეთვორკი“

ფინანსური ანგარიშგება 2020 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისთვის

კონსოლიდირებული კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგება

2020 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისთვის

(1 ლარი)

	დაგროვილი მოგება / (დაუფარავი ზარალი)	სულ საკუთარი კაპიტალი
ნაშთი 31.12.2018-თვის	888,900	888,900
საანგარიშგებო პერიოდის მოგება	2,406,399	2,406,399
საანგარიშგებო პერიოდის მთლიანი სრული შემოსავალი	3,295,298	3,295,298
განაწილებული დივიდენდები	(3,194,737)	(3,194,737)
ნაშთი 31.12.2019-თვის	100,561	100,561
საანგარიშგებო პერიოდის მოგება	2,857,359	2,857,359
საანგარიშგებო პერიოდის მთლიანი სრული შემოსავალი	2,957,920	2,957,920
განაწილებული დივიდენდები	(3,343,158)	(3,343,158)
ნაშთი 31.12.2020-თვის	(385,238)	(385,238)

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება დამტკიცებულია 2021 წლის 1 ოქტომბერს შემდეგ პირთა მიერ:

დირექტორი ----- კონსტანტინე ხაჯალია

დირექტორი ----- მიროსლავ ლაზაროვ გინოვ

თანდართული შენიშვნები მე-6 დან 21-ე გვერდის ჩათვლით წარმოადგენს წინამდებარე ფინანსური ანგარიშგების განუყოფელ ნაწილს.

შპს „ჯორჯიან სერვის ნეთვორკი“

განმარტებითი შენიშვნები 2020 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისთვის

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები 2020 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისთვის

1. ძირითადი ინფორმაცია

შპს „ჯორჯიან სერვის ნეთვორკი“ (შემდგომში – კომპანია) წარმოადგენს შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოებას, რომელიც მოქმედებს საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად. კომპანია დარეგისტრირებულ იქნა 2011 წლის 10 ივნისს ქ. თბილისის საჯარო რეესტრის მიერ. კომპანიის საიდენტიფიკაციო კოდია - 406049823. იურიდიული მისამართია - საქართველო, ქ. თბილისი, ძველი თბილისის რაიონი, შავთელის ქუჩა #13, (ნაკვ. 33/1). კომპანიის ხელმძღვანელები არიან - კონსტანტინე ხაჯალია და მიროსლავ ლაზაროვ გინოვ.

კომპანიის ძირითად საქმიანობას წარმოადგენს საცალო ვაჭრობა საკონტროლო-საღარი აპარატებით და სხვა ელექტრონული მოწყობილობებით, ელექტრონული და ოპტიკური მოწყობილობების რემონტი.

2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით კომპანიის პარტნიორებს წარმოადგენდნენ:

შპს გუგოლპლექსი (406049823)- 50%,

ივაილო ველევ (6603256405 , 382573405) – 44%,

მიროსლავ ლაზაროვ გინოვ (8610214623 , 382204210; 384985143) - 5%,

შპს DAISY TECHNOLOGY EOOD (121081166) – 1%.

კომპანია წარმოადგენს საქართველოში დაფუძნებული შემდეგი საწარმოს მშობელ კომპანიას (რომლებიც ერთობლივად იწოდებიან, როგორც „ჯგუფი“) –

შვილობილი საწარმო - შპს „სითი გრუპი“, საიდენტიფიკაციო კოდი - 404929324, რეგისტრირებული 2012 წლის 8 თებერვალს, იურიდიულ მისამართზე - საქართველო, ქ. თბილისი, ძველი თბილისის რაიონი, შავთელის ქუჩა #13, წილობრივი მონაწილეობა - 100%;

კომპანიამ შვილობილი საწარმო შეიძინა 2016 წლის 26 დეკემბერს.

შვილობილი საწარმოს ძირითად საქმიანობას წარმოადგენს - ელექტრონული მოწყობილობების ტექნიკური მომსახურება და რემონტი.

2. საქართველოს ბიზნეს-გარემო

ჯგუფი საქმიანობას ეწევა საქართველოში და მასზე ზემოქმედებს საქართველოში მოქმედი ეკონომიკური ფაქტორები და ფინანსური ბაზრები. საქართველოში მოქმედი საკანონმდებლო,

შპს „ჯორჯიან სერვის ნეთვორკი“

განმარტებითი შენიშვნები 2020 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისთვის

საგადასახადო და მარეგულირებელი სტრუქტურები განაგრძობენ განვითარებას. აგრეთვე არსებობს საკითხები რომლებიც განსხვავებულად ინტერპრეტირდება და მუდმივ ცვლილებებს განიცდიან, რაც დამატებით ბარიერებს წარმოშობს საქართველოში მოქმედი კომპანიებისთვის.

3. მომზადების საფუძველი და ძირითადი სააღრიცხვო პოლიტიკა

ა) მომზადების ძირითადი საფუძველი

2018 წლის 1 იანვრიდან დაწყებული, ჯგუფის ბუღალტრული აღრიცხვა და ფინანსური ანგარიშგება წარმოებს მსს ფასს-ის (ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტი მცირე და საშუალო საწარმოებისათვის) მიხედვით. ამასთან, ჯგუფი წარმოადგენს მესამე კატეგორიის საწარმოს „ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ“ საქართველოს 2016 წლის 8 ივნისის კანონის თანახმად. აღნიშნული კანონიდან გამომდინარე, ჯგუფს არ ევალება წლიური ფინანსური ანგარიშგების აუდიტი.

მსს ფასს-ის 35-ე მუხლის თანახმად, ჯგუფის მიერ წარდგენილი ფინანსური ანგარიშგება სულ მცირე უნდა მოიცავდეს კონსოლიდირებულ ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებას 2020 წლის დასაწყისისთვის და დასასრულისთვის, 2020 წლის სრული შემოსავლის და საკუთარი კაპიტალის ცვლილებების კონსოლიდირებულ ანგარიშგებებს და შესაბამის განმარტებით შენიშვნებს. ამასთან, ჯგუფს შეუძლია კონსოლიდირებული ფულადი ნაკადების ანგარიშგების ნებაყოფლობით წარდგენა. ჯგუფი იყენებს აღნიშნულ შეღავათს.

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ფუნქციონირებადი საწარმოს პრინციპის დაშვებით - ანუ დაშვებით, რომ ჯგუფი განაგრძობს ფუნქციონირებას პროგნოზირებად მომავალში. ჯგუფის მენეჯმენტსა და მფლობელებს სურვილი აქვთ, განავითარონ ჯგუფის საქმიანობა საქართველოში. მენეჯმენტს სჯერა, რომ ფუნქციონირებადი საწარმოს დაშვება შესაბამისია ჯგუფისათვის.

წინამდებარე კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია საქმიანობის უწყვეტობის და პირვანდელი (ისტორიული) ღირებულების პრინციპის გათვალისწინებით.

მენეჯმენტის მოსაზრებით, ძირითადი სააღრიცხვო პოლიტიკის გამოყენებისას არ არსებობს კრიტიკული გადაწყვეტილებები, რომელსაც შეუძლია გავლენა იქონიოს კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების მუხლებში აღიარებულ თანხებზე და არ არსებობს ვარაუდები და შესაძლო გაურკვევლობები, რომელიც შეიძლება შეიცავდეს მომავალი ფინანსური წლის შედეგების არსებითი კორექტირებების რისკებს.

შპს „ჯორჯიან სერვის ნეთვორკი“

განმარტებითი შენიშვნები 2020 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისთვის

ბ) საანგარიშგებო პერიოდი

ჯგუფის საანგარიშგებო პერიოდი მოიცავს კალენდარულ წელს 1 იანვრიდან 31 დეკემბრამდე. 31 დეკემბრით დასრულებული საანგარიშგებო წლის ბოლოს მდგომარეობით მონაცემები იგივეა, რაც მომდევნო წლის 1 იანვრის მდგომარეობით მოყვანილი მონაცემები.

გ) წარდგენის ვალუტა და ერთეულის სიზუსტე

კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაში ასახული მუხლები წარმოდგენილია ეროვნულ ვალუტაში. საქართველოს ეროვნულ ვალუტას წარმოადგენს ქართული ლარი. ჯგუფის კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება წარმოდგენილია 1 (ერთი) ლარის სიზუსტით.

უცხოურ ვალუტაში ასახული ფულადი აქტივები და ვალდებულებები გადაიანგარიშება საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი ვალუტის გაცვლითი ოფიციალური კურსის შესაბამისად, წლის ბოლოსათვის. კონვერტაციის დროს წარმოშობილი კურსთაშორისი სხვაობები აისახება მოგებისა და ზარალის ანგარიშებზე. უცხოურ ვალუტაში გამოხატული შედეგები აღირიცხება ოპერაციის განხორციელების დღეს არსებული გაცვლის კურსის შესაბამისად.

საქართველოს ეროვნული ბანკის ოფიციალური სავალუტო გაცვლითი კურსები 2018, 2019 და 2020 წლების ბოლო დღის მდგომარეობით:

	12/31/2020	12/31/2019	12/31/2018
ლარი / 1 USD	3.2766	2.8677	2.6766
ლარი / 1 EUR	4.0233	3.2095	3.0701

4. ძირითადი სააღრიცხვო პოლიტიკა

ქვემოთ მოცემულია ის არსებითი სააღრიცხვო პოლიტიკა, რომლის მიხედვითაც მოხდა ჯგუფის კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების მომზადება.

კონსოლიდაციის საფუძველი

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება მოიცავს ჯგუფისა და მისი შვილობილი კომპანიის ფინანსურ ანგარიშგებას 2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით.

შვილობილი კომპანია

შვილობილი კომპანია არის ის საწარმო, რომელიც კონტროლდება ჯგუფის მიერ. კონტროლი ხორციელდება, როდესაც ჯგუფს აქვს უფლებამოსილება, პირდაპირ ან ირიბად მართოს ორგანიზაციის ფინანსური და საოპერაციო პოლიტიკა ისე, რომ მიიღოს სარგებელი მისი საქმიანობიდან. შვილობილი საწარმოს კონსოლიდაცია იწყება მაშინ, როდესაც ჯგუფი მოიპოვებს კონტროლს შვილობილ საწარმოზე და წყდება მაშინ, როდესაც ჯგუფი კარგავს მასზე კონტროლს. შვილობილი საწარმოს წლის განმავლობაში შეძენილი ან გასხვისებული აქტივები, ვალდებულებები, შემოსავალი და ხარჯები აისახება სრული შემოსავლის ანგარიშგებაში შვილობილ საწარმოზე ჯგუფის მიერ კონტროლის შეძენის თარიღიდან კონტროლის დაკარგვის თარიღამდე. წილი შვილობილ კომპანიებში, რომელსაც არ ფლობს ჯგუფი წარმოადგენს უმცირესობის წილს. უმცირესობის წილი წარმოდგენილია კაპიტალში.

კონსოლიდაციასთან დაკავშირებული ელიმინირებული ოპერაციები

შიდა ჯგუფური ბალანსები და ოპერაციები, და ნებისმიერი არარეალისტური მოგება, რომელიც წარმოიქმნება შიდაჯგუფური ტრანზაქციებიდან ელიმინირდება კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას.

გუდვილი

ჯგუფის მიერ საწარმოთა გაერთიანების შედეგად შეძენილი გუდვილი აღიარებულია აქტივად; თავდაპირველად გუდვილი შეფასებულია თვითღირებულებით, რაც გამოითვლება საწარმოთა გაერთიანების ღირებულების მეტობის თანხით მყიდველი საწარმოს წილზე იდენტიფიცირებადი აქტივების, ვალდებულებებისა და პირობითი ვალდებულებების წმინდა რეალურ ღირებულებაში; თავდაპირველი აღიარების შემდგომ, მშობელი საწარმოს მიერ საწარმოთა გაერთიანებისას შეძენილი გუდვილი ასახულია თვითღირებულებიდან დაგროვილი ამორტიზაციისა და დაგროვილი გაუფასურების ზარალის გამოკლების შედეგად მიღებული თანხით; გუდვილის სასარგებლო მომსახურების ვადა განისაზღვრება ხელმძღვანელობის საუკეთესო შეფასების საფუძველზე.

ა) შემოსავლების აღიარება

შემოსავლების აღიარება ხდება საქონლის და მომსახურების გაყიდვიდან ჩვეულებრივი საქმიანობის პროცესში მისაღები ან მიღებული თანხის სამართლიანი ღირებულებით. შემოსავლები აღიარდება, როდესაც არსებობს სარწმუნო მტკიცებულებები, როდესაც მყიდველს გადაეცემა მნიშვნელოვანი რისკები და საკუთრების უფლება საქონელზე, გაწეულია გაყიდვასთან დაკავშირებული ხარჯები და საიმედოდ შეფასებულია საქონლის შესაძლო უკან დაბრუნება.

ბ) ფინანსური შემოსავლები და ხარჯები

ფინანსური შემოსავლები და ხარჯები მოიცავს ფინანსურ აქტივებზე და ფინანსურ ვალდებულებებზე უცხოური ვალუტის კურსის ცვლილებით გამოწვეულ შემოსავლებსა და ხარჯებს, ფინანსურ შემოსავლებში ასევე აღიარებულია მიმდინარე საბანკო ანგარიშზე არსებულ თანხებზე დარიცხული საპროცენტო შემოსავლები.

უცხოური ვალუტის კურსის ცვლილებით მიღებული სარგებელი ან ზარალი წარმოდგენილია წმინდა ღირებულებით, როგორც ფინანსური შემოსავალი ან ფინანსური ხარჯი, იქიდან გამომდინარე უცხოური ვალუტის მოძრაობით მიღებული შედეგი წმინდა შემოსავალია თუ წმინდა ხარჯი.

გ) გარიგებები უცხოურ ვალუტაში

გარიგებები უცხოურ ვალუტაში კონვერტირდება ჯგუფის შესაბამის ფუნქციონალურ ვალუტაში ტრანზაქციების განხორციელების დღეს საქართველოს ეროვნული ბანკის (სებ) მიერ დადგენილი ოფიციალური სავალუტო გაცვლითი კურსის მიხედვით. ანგარიშგების თარიღისთვის, უცხოურ ვალუტაში წარმოდგენილი ფულადი აქტივები და ვალდებულებები გადაიცვლება ფუნქციონალურ ვალუტაში, ამავე თარიღისთვის არსებული გაცვლითი კურსის მიხედვით. უცხოურ ვალუტაში წარმოდგენილი არაფულადი აქტივები და ვალდებულებები, რომლებიც დაიანგარიშდება სამართლიანი ღირებულებით, კონვერტირდება ფუნქციონალურ ვალუტაში სამართლიანი ღირებულების განსაზღვრის დღისთვის არსებული ვალუტის გაცვლის კურსის მიხედვით. არაფულადი ერთეულები უცხოურ ვალუტაში, რომელიც გამოთვლილია ისტორიული ღირებულების საფუძველზე გადაყვანილია ტრანზაქციის თარიღისთვის მოქმედი გაცვლითი კურსით. ვალუტის გადაფასებით გამოწვეული საკურსო სხვაობა აისახება პერიოდის მოგებაში ან ზარალში.

დ) დაქირავებულ პირთა მოკლევადიანი გასამრჯელოები

თანამშრომელ პირთა მოკლევადიანი გასამრჯელოები აღიარდება გაწეული მომსახურების საფუძველზე არადისკონტირებული ღირებულებით და შესაბამისად აისახება ხარჯებში. ასანაზღაურებელი თანხა აღიარდება მოკლევადიანი ვალდებულების სახით, თუ ჯგუფს გააჩნია ამ თანხის სამართლებრივი ან კონსტრუქციული ვალდებულება წარსულში დაქირავებულ პირთაგან მიღებული მომსახურების საფუძველზე და ეს ვალდებულებები შეიძლება შეფასდეს საიმედოდ.

ე) გადასახადები

2016 წლის 13 მაისს საქართველოს პარლამენტმა მიიღო კანონი მოგების გადასახადით დაბეგვრის რეფორმის შესახებ (დაბეგვრის ახალი წესი ცნობილია მოგების გადასახადის „ესტონური მოდელის“ სახელით), რაც ნიშნავს დაბეგვრის მომენტის გადატანას მოგების გამომუშავების თარიღიდან მისი ფაქტობრივად გაცემის თარიღამდე.

2017 წლის 1 იანვრის შემდეგ ეს კანონი ძალაში შევიდა ყველა კომერციული იურიდიული პირისთვის, გარდა ფინანსური ინსტიტუტებისა (როგორც არის ბანკები, საკრედიტო კავშირები, სადაზღვევო კომპანიები, მიკროსაფინანსო ორგანიზაციები, რეგისტრირებული სესხის გამცემი სუბიექტები). ახალი საგადასახადო სისტემიდან გამომდინარე, კომპანიის 2019-2020 წლების მოგება შემცირებულია მოგების გადასახადის მხოლოდ იმ ოდენობით, რაც წარმოიშვა 2019-2020 წლებში გაცემული დივიდენდებიდან (მოგების განაწილებიდან).

2020 წელს საქართველოში მოგების გადასახადის განაკვეთი 15% შეადგენდა.

ვ) მარაგები

მარაგები შეფასებულია თვითღირებულებასა და წმინდა სარეალიზაციო ღირებულებას შორის უმცირესით. სასაქონლო-მატერიალური მარაგების ღირებულება განისაზღვრება საშუალო შეწონილი მეთოდის გამოყენებით და შეიცავს დანახარჯებს, რომელიც დაკავშირებულია აქტივის შეძენასთან და სხვა დანახარჯებს, რომელიც მოიცავს მისი მოცემულ ადგილამდე ტრანსპორტირებისათვის და სათანადო მდგომარეობაში მოსაყვანად. წმინდა სარეალიზაციო ღირებულება არის ბიზნესის ჩვეულებრივ პირობებში საქმიანობისას არსებული აქტივის გასაყიდ ფასს გამოკლებული დანახარჯები, დაკავშირებული აქტივის გაყიდვასთან.

ზ) ძირითადი საშუალებები და არამატერიალური აქტივები

ჯგუფი ძირითად საშუალებებს აღრიცხავს მათი თვითღირებულებით (ისტორიული ღირებულება), გამოკლებული დაგროვილი ცვეთა და გაუფასურების ზარალი.

ჯგუფი არამატერიალურ აქტივებს აღრიცხავს მათი თვითღირებულებით (ისტორიული ღირებულება), გამოკლებული დაგროვილი ამორტიზაცია და გაუფასურების ზარალი.

ჯგუფი აღრიცხავს ცვეთას შემცირებად ნაშთთა მეთოდით, ცვეთის დარიცხვა ხდება შემდეგი წლიური საპროცენტო განაკვეთების მიხედვით:

ოფისის არჭურვილობა	- 20 %
კომპუტერული ტექნიკა	- 20 %
ავეჯი	- 20 %
სარეკლამო საშუალებები	- 20 %
მსუბუქი ავტომობილები	- 20 %
სხვა ძირითადი საშუალებები	- 20 %
იჯარით აღებული ქონების კეთილმოწყობა	- 15 %

არამატერიალური აქტივების ამორტიზაციისათვის გამოიყენება:

- იმ არამატერიალური აქტივებისათვის, რომელთაც აქვთ შეზღუდული სასარგებლო მომსახურების ვადა, მაგრამ ეს ვადა ცალსახად განსაზღვრული არ არის, გამოიყენება ამორტიზაციის დარიცხვის შემცირებად ნაშთთა მეთოდი წლიური საპროცენტო განაკვეთით - 15%;

- არამატერიალური აქტივები განუსაზღვრელი სასარგებლო მომსახურების ვადით არ ამორტიზდება.

ძირითადი საშუალებების შემენის თვე ცვეთის დარიცხვის მიზნებისთვის აიღება როგორც სრული თვე, ხოლო ძირითადი საშუალების გასვლის თვე ცვეთის დარიცხვის დროს არ გაითვალისწინება.

ძირითადი საშუალება იცვითება იმ თვიდან, როდესაც ხდება მისი ექსპლუატაციაში გაშვება ან ის მზადაა ექსპლუატაციაში გაშვებისთვის.

შეკეთებასთან ან განახლებასთან დაკავშირებული ხარჯები ირიცხება წარმოშობისთანავე და მათი ჩართვა ხდება სხვა საოპერაციო ხარჯებში, თუ არ არსებობს მათი კაპიტალიზაციის საფუძველი.

თ) ფულადი სახსრები და მათი ექვივალენტები

ფულად სახსრებს და მათ ექვივალენტებს ჯგუფისათვის წარმოადგენს ფული ჯგუფის სალაროში და ფული მიმდინარე საბანკო ანგარიშებზე.

ი) მოთხოვნები საქმიანობიდან და სხვა მიმდინარე მოთხოვნები

მოთხოვნები წარმოადგენენ ყველა მიმდინარე მოთხოვნებს მიწოდებიდან, წინასწარ გადახდილი გადასახადების და წინასწარ გაწეული ხარჯების გარდა.

სავაჭრო და სხვა დებიტორული მოთხოვნების აღიარება ხდება სამართლიანი ღირებულებით და შემდგომში შეფასებული ამორტიზირებული ღირებულებით ეფექტური საპროცენტო მეთოდით, გამოკლებული გაუფასურების დანაკარგი. დებიტორული დავალიანების გაუფასურების დანაკარგი ჩამოყალიბებულია, როდესაც არსებობს ობიექტური მტკიცებულებები, რომ ჯგუფი ვერ შეძლებს ყველა თანხის შეგროვებას მისაღები მოთხოვნების მიხედვით.

კ) აქტივების გაუფასურება

ფინანსური აქტივი შეფასდება ყოველ ანგარიშგების დღეს იმ მიზნით, რომ განისაზღვროს არსებობს თუ არა მისი გაუფასურების ობიექტური მტკიცებულება. ფინანსური აქტივი ჩაითვლება გაუფასურებულად იმ შემთხვევაში, თუ ობიექტური მტკიცებულებით ნაჩვენებია აქტივის თავდაპირველი აღიარების შემდგომ ზარალის შემთხვევა, რაც შესაძლებელია უარყოფითად აისახოს აღნიშნული აქტივის სამომავლო ფულადი ნაკადების შეფასებაში, რაც ფასდება საიმედოდ.

ლ) ხარჯების აღიარება

ჯგუფი გასწევს ხარჯებს საქმის წარმოებაზე თავის საოპერაციო საქმიანობის პროცესში, ასევე აქვს სხვა ხარჯები, რაც არ უკავშირდება მის ძირითად საქმიანობას. ხარჯების აღიარება ხდება მოგებისა და ზარალის ანგარიშგებაში, თუ წარმოიშობა შემცირება მომავალი ეკონომიკური სარგებლისა, რაც დაკავშირებულია აქტივის შემცირებასა ან ვალდებულების ზრდასთან, რაც შეიძლება საიმედოდ განისაზღვროს. ხარჯების აღიარება ხდება მოგებისა და ზარალის ანგარიშგებაში, გაწეული ხარჯებისა და შემოსავლებს შორის უშუალო შეპირისპირების საფუძველზე, შემოსავლების კონკრეტული მუხლების მიხედვით. თუკი ეკონომიკური სარგებლის წარმოშობა მოსალოდნელია რამდენიმე საანგარიშო პერიოდის მანძილზე და კავშირი შემოსავალთან შეიძლება მოიძებნოს მთლიანად ან ნაწილობრივ, მაშინ მოგება-ზარალისა და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგებაში ხარჯის აღიარება მოხდება რაციონალური გადანაწილების მეთოდით. ხარჯის

შპს „ჯორჯიან სერვის ნეთვორკი“

განმარტებითი შენიშვნები 2020 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისთვის

ალიარება ხდება მოგება-ზარალისა და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგებაში დაუყოვნებლივ, თუ ხარჯი აღარ ქმნის მომავალ ეკონომიკურ სარგებელს, ან როცა მომავალი ეკონომიკური სარგებელი არ შეესაბამება ან აღარ შეესაბამება ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში (ბალანსში) აქტივად ალიარების მოთხოვნებს.

5. წინა წლების კორექტირებები

წინა წლების კორექტირებების ეფექტი 2020 წლის 31 დეკემბრის დასრულებული წლისთვის კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაზე წარმოდგენილია შემდეგნაირად:

ეფექტი ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაზე 1 იანვარი, 2019

	წინა ანგარიშის მიხედვით	მაკორექტირებელი შესწორება	კორექტირებული თანხა
დებიტორული დავალიანება მიწოდებიდან	310,034	(6,159)	303,875
მარაგები	3,681,730	(52)	3,681,678
გადახდილი ავანსები	487,244	(277)	486,967
წინასწარ გადახდილი გადასახადები	451,397	139	451,536
სხვა მოკლევადიანი აქტივები	2,461	487	2,948
ვალდებულებები მიწოდებიდან და მომსახურებიდან	302,239	(166)	302,073
საგადასახადო ვალდებულებები	432,909	996	433,905
მიღებული ავანსები	4,947,961	(4,005)	4,943,956
სხვა მოკლევადიანი ვალდებულებები	12,816	(634)	12,182
გაუნაწილებელი მოგება	890,951	(2,051)	888,900

ეფექტი ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაზე 31 დეკემბერი, 2019

	წინა ანგარიშის მიხედვით	მაკორექტირებელი შესწორება	კორექტირებული თანხა
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები	680,265	(1,117)	679,148
დებიტორული დავალიანება მიწოდებიდან	261,444	(3,134)	258,310
მარაგები	4,681,710	4,282	4,685,992
გადახდილი ავანსები	107,705	59,290	166,995
წინასწარ გადახდილი გადასახადები	593,602	(137,364)	456,238
სხვა მოკლევადიანი აქტივები	2,648	20,830	23,478
ძირითადი საშუალებები და არამატერიალური აქტივები	649,382	30,096	679,478
გუდვილი	352,446	11,778	364,224
ვალდებულებები მიწოდებიდან და მომსახურებიდან	579,514	836,887	1,416,401
საგადასახადო ვალდებულებები	220,209	228,526	448,735
მიღებული ავანსები	6,096,603	(766,785)	5,329,818
სხვა მოკლევადიანი ვალდებულებები	8,912	9,435	18,347
გაუნაწილებელი მოგება	423,964	(323,402)	100,562

შპს „ჯორჯიან სერვის ნეთვორკი“

განმარტებითი შენიშვნები 2020 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისთვის

ეფექტი მოგება-ზარალისა და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგებაზე	წინა ანგარიშის მიხედვით	მაკორექტირებელი შესწორება	კორექტირებული თანხა
2019			
შემოსავალი რეალიზაციიდან	14,216,378	(367,467)	13,848,911
რეალიზებული საქონლის/მომსახურების თვითღირებულება	(6,558,158)	(362,113)	(6,920,271)
მიწოდების ხარჯები	(92,254)	(134,003)	(226,257)
საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები	(3,942,779)	822,710	(3,120,069)
სხვა საოპერაციო ხარჯები	(347,093)	(337,881)	(684,974)
საპროცენტო შემოსავლები	26,406	(19,098)	7,308
მოგება/(ზარალი) საკუროს სხვაობებიდან	(867)	(64,533)	(65,400)
სხვა არასაოპერაციო მოგება/(ზარალი)	(80,070)	9,052	(71,018)

კორექტირებები გამოწვეულია სააღრიცხვო შეცდომების შედეგად.

6. ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები

	12/31/2020	12/31/2019	1/1/2019
ფული საღაროში	25,583	39,986	10,531
ფული მიმდინარე საბანკო ანგარიშებზე	414,200	639,162	648,975
	439,783	679,148	659,506

7. დებიტორული დავალიანება მიწოდებიდან

ჯგუფის დებიტორული დავალიანება წარმოშობილია მათი ძირითადი საქმიანობის ფარგლებში გაწეული მომსახურებისა და მიწოდებული საქონლის შედეგად.

8. მარაგები

ჯგუფის სასაქონლო - მატერიალური მარაგები ძირითადად შედგება იმ საქონლისა და სათადარიგო ნაწილებისაგან, რომლებიც განკუთვნილია როგორც გასაყიდად, ასევე მომხმარებლებთან გაფორმებული ხელშეკრულებების შესაბამისად შეკეთების მომსახურების შესრულებისათვის.

9. გადახდილი ავანსები

ჯგუფს ავანსები გადახდილი აქვს საქონლისა და მომსახურების შესყიდვის მიზნით. ავანსები ძირითადად გადახდილია არარეზიდენტი პირებისათვის.

10. საგადასახადო ვალდებულებები და წინასწარ გადახდილი გადასახადები

2016 წლამდე საქართველოს საგადასახადო კანონმდებლობის მიხედვით შესაძლებელი იყო სხვადასხვა გადასახადების გადახურვა, თუ ერთ გადასახადში ჯგუფს ავანსად გადახდა უფიქსირებოდა, ხოლო მეორე გადასახადში დავალიანება.

2016 წლის დასაწყისში საქართველოს საგადასახადო კანონმდებლობის მიხედვით გაერთიანდა გადასახადების ბარათები და საწარმოს დავალიანება/ავანსი ბიუჯეტის მიმართ აისახება ერთიან საგადასახადო ბარათზე ჯამურად.

ჯგუფი ძირითადად ხუთი ტიპის გადასახადის გადამხდელია: საშემოსავლო გადასახადი, დამატებული ღირებულების გადასახადი, ქონების გადასახადი, მოგების გადასახადი და საბაჟო გადასახდელები.

	12/31/2020	12/31/2019	1/1/2019
საანგარიშგებო თარიღის შემდგომ დადგენილებული ან დასადგენი გადასახადები	(214,477)	(448,735)	(433,905)
საანგარიშგებო თარიღის შემდგომ დაბრუნებული ან დასაბრუნებელი გადასახადები	363,454	336,667	297,930
ჩასათვლელი აქტივები	5,954	5,585	5,658
ერთიანი საგადასახადო ბარათი	97,910	113,986	147,948
	<u>252,842</u>	<u>7,503</u>	<u>17,630</u>

შპს „ჯორჯიან სერვის ნეთვორკი“

განმარტებითი შენიშვნები 2020 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისთვის

11. ძირითადი საშუალებები და არამატერიალური აქტივები

	იჯარით აღებული ქონების კეთილმოწყობა	ოფისის აღჭურვილობა	კომპ. ტექნიკა და პერიფერიული მოწყ.	აგეჯი	სარეკლამო საშუალებები	სატრანსპორტო საშუალებები	სხვა ძირითადი საშუალებები	არამატერიალური აქტივები	სულ
ისტორიული ღირებულება									
სულ ისტორიული ღირებულება 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	163,148	115,833	186,300	105,729	37,297	78,263	10,655	278,714	975,940
დამატება (გასვლა)	5,468	38,929	42,117	25,178	29,424	54,242	11,822	21,064	228,244
	-	(6,564)	-	-	-	(7,235)	-	-	(13,799)
სულ ისტორიული ღირებულება 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	168,616	148,198	228,417	130,908	66,721	125,271	22,477	299,778	1,190,385
დამატება (გასვლა)	6,365	12,011	32,675	13,705	6,102	-	593	3,780	75,232
	-	-	-	-	-	-	(246)	-	(246)
სულ ისტორიული ღირებულება 2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	174,981	160,209	261,092	144,613	72,823	125,271	22,825	303,557	1,265,371
ცვეთა, ამორტიზაცია და გაუფასურება									
სულ აკუმულირებული ცვეთა ღირებულება 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	44,541	32,330	87,150	42,650	13,036	30,954	2,610	144,420	397,689
ცვეთის და ამორტიზაციის ხარჯი ჩამოწერა	9,676	19,610	25,082	14,991	8,236	18,220	2,153	21,152	119,119
	-	(547)	-	-	-	(5,356)	-	-	-
სულ აკუმულირებული ცვეთა ღირებულება 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	54,217	51,393	112,232	57,640	21,272	43,818	4,763	165,572	510,906
ცვეთის და ამორტიზაციის ხარჯი ჩამოწერა	16,792	20,662	25,658	15,992	9,853	16,291	2,797	18,093	126,137
	-	-	-	-	-	-	(84)	-	-
სულ აკუმულირებული ცვეთა ღირებულება 2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	71,009	72,055	137,890	73,632	31,124	60,108	7,476	183,665	636,960
ნარჩენი ღირებულება 2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	103,972	88,154	123,202	70,981	41,698	65,162	15,349	119,892	628,411
ნარჩენი ღირებულება 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	114,399	96,805	116,185	73,267	45,449	81,453	17,714	134,206	679,479
ნარჩენი ღირებულება 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	118,607	83,503	99,150	63,080	24,262	47,310	8,045	134,294	578,250

12. გუდვილი

ჯგუფის გუდვილი წარმოადგენს შვილობილი საწარმოს შეძენისას - შპს „სითი გრუპი“ წარმოქმნილ აქტივს. გუდვილის სასარგებლო მომსახურების ვადა განსაზღვრულია, როგორც 10 წელი.

13. ვალდებულებები, წარმოქმნილი მიწოდებიდან და მომსახურებიდან

2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით ჯგუფის მიმდინარე სავაჭრო ვალდებულებების სტრუქტურა შემდეგია:

	12/31/2020	12/31/2019	1/1/2019
რეზიდენტი კომპანიები	(193,902)	(130,320)	(150,457)
არარეზიდენტი კომპანიები	(2,108,932)	(1,286,081)	(151,616)
	<u>(2,302,834)</u>	<u>(1,416,401)</u>	<u>(302,073)</u>

14. მიღებული ავანსები

ჯგუფი გასწევს GPRS, საგარანტიო და საკურიერო - ტექნიკურ მომსახურებებს. ავანსები მიღებულია აღნიშნული მომსახურებების გასაწევად.

15. შემოსავალი რეალიზაციიდან

	2020 წელი	2019 წელი
შემოსავალი GPRS მომსახურებიდან	8,241,449	7,320,219
შემოსავალი საქონლის გაყიდვიდან	4,456,277	5,749,211
შემოსავალი შეკეთების მომსახურებიდან	65,938	156,402
შემოსავალი მომსახურებიდან ადგილზე მისვლით	605,733	616,360
შემოსავალი სხვა რეალიზაციიდან	10,585	6,718
	<u>13,379,983</u>	<u>13,848,911</u>

16. რეალიზებული საქონლის/მომსახურების თვითღირებულება

	2020 წელი	2019 წელი
სასაქონლო მარაგები	3,939,383	5,407,302
სატელეკომუნიკაციო ხარჯები	118,886	127,421
თანამშრომელთა ანაზღაურება	1,274,699	1,385,547
	5,332,968	6,920,271

17. მიწოდების ხარჯები

	2020 წელი	2019 წელი
რეკლამის ხარჯები	20,259	42,748
შრომის ანაზღაურება	112,454	122,806
საქონლის უსასყიდლოდ მიწოდების ხარჯი	30,103	47,621
შესაფუთი მასალების ხარჯი	14,411	12,879
სამივლინებო ხარჯები	-	203
	177,226	226,257

18. საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები

	2020 წელი	2019 წელი
ხელფასის ხარჯი	2,564,112	2,238,791
საიჯარო ქირა	131,411	129,009
კომუნიკაციის ხარჯები	91,493	89,359
კომუნალური ხარჯი	13,972	10,585
კომპიუტერის ხარჯები	9,215	6,870
IT მომსახურების ხარჯი	72,045	54,278
ტრანსპორტირებისა და დეკლარირების ხარჯები	19,788	-
საბანკო მომსახურება	47,962	39,722
საწვავის ხარჯები	21,881	19,912
საკანცელარიო ხარჯი	18,380	28,988
საკონსულტაციო ხარჯები	280,812	284,319
ფიზიკური პირების მომსახურებები	89,843	85,203
მივლინების ხარჯები	12,394	23,411
დაცვის ხარჯი	1,914	1,946
დეზინფექციისა და სამედიცინო მასალების ხარჯი	25,426	-
საქველმოქმედო ხარჯები	60,204	-
წარმომადგენლობითი ხარჯები	10,728	11,714
სამეურნეო ხარჯები	43,803	28,172
სხვა ადმინისტრაციული ხარჯი	46,369	67,790
	3,561,751	3,120,069

19. სხვა საოპერაციო ხარჯები

	2020 წელი	2019 წელი
ცვეთა და ამორტიზაცია	126,137	118,573
გუდვილის ამორტიზაცია	52,032	52,032
იჯარის ხარჯი	340,328	332,857
კომუნალური ხარჯები	32,985	33,313
ა/მ შენახვისა და ტრანსპორტირების ხარჯები	63,018	66,525
საპენსიო ხარჯი	62,236	55,541
პროგრამული მომსახურების ხარჯი	8,000	11,386
დაცვის მომსახურების ხარჯი	13,122	14,748
	697,859	684,974

20. მოგება/ზარალი საკურსო სხვაობებიდან

2020 წელი	დადებითი შედეგი	უარყოფითი შედეგი	სულ
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები	49,363	(13,702)	35,662
სულ საკურსო მოგება (ზარალი) აქტივებიდან:	49,363	(13,702)	35,662
ვალდებულებები, წარმოქმნილი მიწოდებიდან და მომსახურებიდან	37	(209,217)	(209,180)
სხვა მიმდინარე ვალდებულებები			
სულ საკურსო მოგება (ზარალი) ვალდებულებებიდან:	37	(209,217)	(209,180)
სულ საკურსო მოგება (ზარალი) ვალდებულებები და კაპიტალიდან:	49,400	(222,919)	(173,518)

2019 წელი	დადებითი შედეგი	უარყოფითი შედეგი	სულ
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები	16,698	(9,637)	7,061
სულ საკურსო მოგება (ზარალი) აქტივებიდან:	16,698	(9,637)	7,061
ვალდებულებები, წარმოქმნილი მიწოდებიდან და მომსახურებიდან	377	(72,838)	(72,461)
სხვა მიმდინარე ვალდებულებები			
სულ საკურსო მოგება (ზარალი) ვალდებულებებიდან:	377	(72,838)	(72,461)
სულ საკურსო მოგება (ზარალი) ვალდებულებები და კაპიტალიდან:	17,075	(82,475)	(65,400)

შპს „ჯორჯიან სერვის ნეთვორკი“

განმარტებითი შენიშვნები 2020 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისთვის

21. სხვა არასაოპერაციო მოგება/ზარალი

	2020 წელი	2019 წელი
საგადასახადო ჯარიმები და საურავები	(7,344)	6,731
შეღვათი საშემოსავლო გადასახადში	69,661	-
ხარჯი უსაბუთო შესყიდვების ჩამოწერებიდან	(5,691)	(93,388)
სხვა არასაოპერაციო შემოსავალი/ხარჯი	(59,769)	15,639
	(3,144)	(71,018)

22. გარიგებები დაკავშირებულ მხარეებთან

ბასს 24-ის („დაკავშირებულ მხარეთა განმარტებითი შენიშვნები“) მიხედვით, მხარეები ითვლებიან დაკავშირებულად, თუ ერთ მხარეს აქვს უნარი, გააკონტროლოს მეორე მხარე ან მნიშვნელოვანი გავლენა მოახდინოს მეორე მხარის ფინანსურ და საოპერაციო გადაწყვეტილებებზე. შესაძლო დაკავშირებული მხარეების თითოეული შემთხვევის განხილვისას ყურადღება უნდა მიექცეს არა მხოლოდ სამართლებრივ ფორმას, არამედ იმასაც, თუ როგორია მათ შორის ურთიერთობა. დაკავშირებულმა მხარეებმა შეიძლება დადონ ისეთი გარიგებები, როგორსაც არ დადებდნენ დაუკავშირებელი მხარეები და დაკავშირებულ მხარეებს შორის დადებული გარიგებები შეიძლება არ განხორციელდეს იმავე პირობებზე და თანხებზე, როგორც დაიდებოდა გარიგებები დაუკავშირებელ მხარეებს შორის.

განხორციელებული ტრანზაქციები პარტნიორებთან და ძირითად მენეჯმენტთან

	დაუფარავი ნაშთი 31.12.2020	დაუფარავი ნაშთი 31.12.2019	დაუფარავი ნაშთი 31.12.2018	ტრანზაქციის ღირებულება 2020 წელი	ტრანზაქციის ღირებულება 2019 წელი
გადახდილი ავანსი	-	-	86,814	-	-
ვალდებულებები მიწოდებიდან და მარაგები	299,879	92,201	375	-	-
ხელფასები და სხვა სარგებელი	-	-	-	119	-
მივლინების ხარჯები	-	-	-	(635,257)	(739,783)
საკურსო სხვაობები	-	-	-	(9,758)	(560)
				(20,219)	(8,769)

ტრანზაქციები სხვა დაკავშირებულ მხარეებთან

	დაუფარავი ნაშთი 31.12.2020	დაუფარავი ნაშთი 31.12.2019	დაუფარავი ნაშთი 31.12.2018	ტრანზაქციის ღირებულება 2020 წელი	ტრანზაქციის ღირებულება 2019 წელი
ხელფასები და სხვა სარგებელი	-	-	-	(812,103)	(370,592)
შემოსავალი რეალიზაციიდან	-	-	-	8	19

23. სხვა გაუთვალისწინებელი გარემოებები

კანონმდებლობა

2017 წლის 1 იანვრიდან საქართველოში ამოქმედდა მოგების გადასახადის დაბეგვრის ახალი რეჟიმი - ე.წ. „ესტონური მოდელი“, რომელიც თვისებრივად განსხვავდება მანამდე მოქმედი მოგების გადასახადით დაბეგვრის რეჟიმისაგან. ამასთან, დაბეგვრის ეს რეჟიმი არის იშვიათი, კერძოდ, საქართველო არის მეორე ქვეყანა ევროპაში (ესტონეთის შემდეგ), რომელმაც მოგების გადასახადით დაბეგვრის ეს მოდელი აირჩია. მოდელის თავისებურები, თვისებრივი სიახლე და საგადასახადო პრაქტიკის არარსებობა ქმნის გარკვეულ განუზღვრელობას მოგების გადასახადით დაბეგვრის საკითხში. მართალია, მენეჯმენტი დარწმუნებულია, რომ მის მიერ განხორციელებული მიდგომა საგადასახადო საკითხების მიმართ ადეკვატურია ამ მომენტში საქართველოს მოქმედი საკანონმდებლო ინტერპრეტაციების მიმართ, მაგრამ არ არის გამორიცხული ის, რომ ეს ინტერპრეტაციები შემდგომში შეიცვალოს და საგადასახადო ორგანოებს სხვა პოზიცია ჰქონდეთ ანალოგიური საკითხების მიმართ.

სასამართლო დავები

2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით ჯგუფს ჰქონდა მიმდინარე სასამართლო დავა დაქირავებულ პირთან, რეორგანიზაციის შედეგად სამსახურიდან გათავისუფლების გამო.

24. საანგარიშგებო პერიოდის შემდეგი მოვლენები

საანგარიშგებო პერიოდის შემდეგ ისეთ მნიშვნელოვან მოვლენებს, რომლებიც შეიძლება იწვევდეს კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების მუხლების შესწორებას ან განმარტებითი შენიშვნების დამატებას, ადგილი არ ჰქონია.

25. ფინანსური ანგარიშგების დამტკიცება

წარმოდგენილი კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება დამტკიცებულია და ხელმოწერილია ხელმძღვანელობის მიერ 2021 წლის 1 ოქტომბერს.

შპს „ჯორჯიან სერვის ნეთვორკი“

ფინანსური ანგარიშგება 2020 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისთვის

კონსოლიდირებული ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება

2020 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისთვის

(1 ლარი)

	12/31/2020	12/31/2019	01/01/2019 გადაანგარიშებული (შენიშვნა 5)	შენიშვნა
მოკლევადიანი აქტივები:				
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები	439,783	679,148	659,506	6
დეზიტორული დავალიანება მიწოდებიდან	214,724	258,310	303,875	7
მარაგები	4,287,719	4,685,992	3,681,678	8
გადახდილი ავანსები	259,742	166,995	486,967	9
წინასწარ გადახდილი გადასახადები	467,318	456,238	451,536	10
სხვა მოკლევადიანი აქტივები	31,484	23,478	2,948	
მოკლევადიანი აქტივები სულ:	5,710,769	6,270,160	5,586,510	
გრძელვადიანი აქტივები:				
პირითადი საშუალებები და არამატერიალური აქტივები	628,411	679,478	578,250	11
გრძელვადიანი ინვესტიციები				
გუდვილი	312,192	364,224	416,256	12
გრძელვადიანი აქტივები სულ:	940,603	1,043,702	994,506	
აქტივები სულ:	6,651,371	7,313,862	6,581,016	
მოკლევადიანი ვალდებულებები:				
ვალდებულებები მიწოდებიდან და მომსახურებიდან	2,302,834	1,416,401	302,073	13
საგადასახადო ვალდებულებები	214,477	448,735	433,905	10
მიღებული ავანსები	4,488,159	5,329,818	4,943,956	14
სხვა მოკლევადიანი ვალდებულებები	31,140	18,347	12,182	
მოკლევადიანი ვალდებულებები სულ:	7,036,609	7,213,301	5,692,116	
კაპიტალი				
გაუნაწილებელი მოგება	(385,238)	100,562	888,900	
კაპიტალი სულ:	(385,238)	100,562	888,900	
სულ ვალდებულებები და კაპიტალი:	6,651,371	7,313,862	6,581,016	

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება დამტკიცებულია 2021 წლის 1 ოქტომბერს შემდეგ პირთა მიერ:

დირექტორი



კონსტანტინე ხაჯალია

დირექტორი



მიროსლავ ლაზაროვ გინოვ

თანდართული შენიშვნები მე-6 დან 21-ე გვერდის ჩათვლით წარმოადგენს წინამდებარე ფინანსური ანგარიშგების განუყოფელ ნაწილს.

შპს „ჯორჯიან სერვის ნეტვორკი“

ფინანსური ანგარიშგება 2020 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისთვის

კონსოლიდირებული მოგება-ზარალისა და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგება

2020 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისთვის

(1 ლარი)

	2020 წელი	2019 წელი გადაანგარიშ ებული (შენიშვნა 5)	შენიშვნა
შემოსავალი რეალიზაციიდან	13,379,983	13,848,911	15
რეალიზებული საქონლის/მომსახურების თვითღირებულება	(5,332,968)	(6,920,271)	16
მოგება ძირითადი საქმიანობიდან	8,047,015	6,928,640	
მიწოდების ხარჯები	(177,226)	(226,257)	17
საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები	(3,561,751)	(3,120,069)	18
სხვა საოპერაციო ხარჯები	(697,859)	(684,974)	19
ზარალი საოპერაციო საქმიანობიდან	3,610,179	2,897,339	
საპროცენტო შემოსავლები	13,811	7,308	
მოგება/(ზარალი) საკურსო სხვაობებიდან	(173,518)	(65,400)	20
სხვა არასაოპერაციო მოგება/(ზარალი)	(3,144)	(71,018)	21
მოგება/(ზარალი) დაბეგვრამდე	3,447,328	2,768,229	
მოგების გადასახადი	(589,969)	(361,830)	
წლის წმინდა მოგება	2,857,359	2,406,399	
წლის სრული შემოსავალი	2,857,359	2,406,399	

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება დამტკიცებულია 2021 წლის 1 ოქტომბრის შემდეგ პირთა მიერ:

დირექტორი



კონსტანტინე ხაჯალია

დირექტორი



მიროსლავ ლაზაროვ გინოვ

თანდართული შენიშვნები მე-6 დან 21-ე გვერდის ჩაოვლით წარმოადგენს წინამდებარე ფინანსური ანგარიშგების განუყოფელ ნაწილს.

შპს „ჯორჯიან სერვის ნეთვორკი“

ფინანსური ანგარიშგება 2020 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისთვის

კონსოლიდირებული კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგება

2020 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისთვის

(1 ლარი)

	დაგროვილი მოგება / (დაუფარავი ზარალი)	სულ საკუთარი კაპიტალი
ნაშთი 31.12.2018-თვის	888,900	888,900
საანგარიშგებო პერიოდის მოგება	2,406,399	2,406,399
საანგარიშგებო პერიოდის მთლიანი სრული შემოსავალი	3,295,298	3,295,298
განაწილებული დივიდენდები	(3,194,737)	(3,194,737)
ნაშთი 31.12.2019-თვის	100,561	100,561
საანგარიშგებო პერიოდის მოგება	2,857,359	2,857,359
საანგარიშგებო პერიოდის მთლიანი სრული შემოსავალი	2,957,920	2,957,920
განაწილებული დივიდენდები	(3,343,158)	(3,343,158)
ნაშთი 31.12.2020-თვის	(385,238)	(385,238)

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება დამტკიცებულია 2021 წლის 1 ოქტომბერს შემდეგ პირთა მიერ:

დირექტორი



კონსტანტინე ხაჯალია

დირექტორი



მიროსლავ ლაზაროვი გინოვი

თანდართული შენიშვნები მე-6 და 21-ე გვერდის ჩათვლით წარმოადგენს წინამდებარე ფინანსური ანგარიშგების განუყოფელ ნაწილს.